ოქმი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2025 წლის 28 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. სერგო ბერაია
5. აკაკი მალანია
6. ფელიქსი წურწუმია
7. გურიელ ქარდავა
8. ნინო ბოკუჩავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 25 აპრილის N50-50-502511554 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 25 აპრილის N50-50-502511554 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა- 33240,7 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 39747,2 ათასი ლარის ოდენობით.

პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ნაშთის 1377,5 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) და შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 19,8 ათასი ლარი, სულ 1397,3 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 1314,5 ათასი ლარი, აქედან:

15,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე.

696,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე.

102,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებაზე.

501,5 ათასი ლარი პროგრამის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ასიგნებაზე.

პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებაზე 82,8 ათასი ლარი, აქედან:

19,8 ათასი ლარი პროგრამის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება“ ასიგნებაზე, აქედან:
19,8 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს სუბსიდია;
63,0 ათასი ლარი პროგრამის ,,უმწეოთა ერთჯერადი დახმარება“ ასიგნებაზე, აქედან:
63,0 ათასი ლარი - ,,სოციალური უზრუნველყოფა“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სოციალური დახმარება“ ასიგნებაზე, თანახმად დანართისა.
ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია